საქართველოს
იუსტიციის
სამინისტრო

დანაშაულის პრევენციის არასაპატიმრო
სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის
ეროვნული სააგენტო

განრიდების პროგრამების
(განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის)
2022 წლის ანგარიში

სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო“

თბილისი

2023

შინაარსი

შესავალი 2

ზოგადი ინფორმაცია პროგრამის განვითარების შესახებ 4

2022 წელს განხორციელებული მნიშვნელოვანი აქტივობები 6

პროგრამის შედეგები 8

16. განრიდებულ პირთა ხელშეკრულების ხშირად გამოყენებული პირობები 28

შესავალი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო“, როგორც განრიდების პროგრამების ზოგად მენეჯმენტზე პასუხისმგებელი უწყება,

ყოველწლიურად, სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთანამშრომლობით ახორციელებს სხვადასხვა აქტივობებს განრიდების მექანიზმის გაძლიერების მიზნით. აღნიშნული აქტივობები მოიცავს როგორც საგანმანათლებლო ღონისძიებებს პროკურორების, სოციალური მუშაკების, მედიატორებისა და მოსამართლეებისათვის, ასევე სხვადასხვა სახის ანალიტიკურ საქმიანობას, სტატისტიკური მონაცემების დამუშავებასა და ანალიზს, უწყებათაშორის მონიტორინგის ღონისძიებებს, ჩართულ სპეციალისტებსა და ორგანიზაციებს შორის კოორდინაციის გაძლიერებას, საგრანტო პროექტების დაფინანსებას ბენეფიციართათვის სერვისების გაფართოების და არასამთავრობო სექტორის გაძლიერების მიზნით, ასევე სხვა მნიშვნელოვან აქტივობებს.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს 2021 წლის ანგარიშს და მასში წარმოდგენილია პროგრამის განვითარების შესახებ მოკლე ინფორმაცია, 2021 წელს განხორციელებული მნიშვნელოვანი აქტივობები და განრიდების პროგრამების დეტალური სტატისტიკა.

ანგარიშში მოცემული ინფორმაცია საინტერესოა როგორც იურისტებისათვის, ასევე სოციალური სფეროს წარმომადგენლებისათვის, პედაგოგების, მკვლევარების, სტუდენტებისა და აღნიშნული სფეროთი დაინტერესებული ნებისმიერი პირისათვის.

ზოგადი ინფორმაცია პროგრამის განვითარების შესახებ

განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მენეჯმენტს სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო“ (შემდგომ - სააგენტო) ახორციელებს. 2013 წლამდე, პროგრამა მოქმედებდა საპილოტე რეჟიმში და ეტაპობრივად ემატებოდა საქართველოს სხვადასხვა ქალაქი, ხოლო 2013 წლის აგვისტოდან კი - მოქმედებს მთელი საქართველოს მასშტაბით.

განრიდების პროგრამები 21 წლამდე ასაკის პირისათვის წარმოადგენს ერთ შანსს, გარკვეული პირობების შესრულების სანაცვლოდ, განაგრძოს ცხოვრება ნასამართლობის, სასჯელის გარეშე, დაიწყოს კანონმორჩილი ცხოვრება და გადადგას ნაბიჯი წარმატებული მომავლისკენ. პროგრამა ეფექტიანი საშუალებაა 21 წლამდე ასაკის პირისათვის მართლშეგნების ხელშეწყობის, მისი რესოციალიზაციისა და კანონსაწინააღმდეგო ქმედებით დაზარალებულ პირთა ინტერესების დაკმაყოფილების თვალსაზრისით.

განრიდება/განრიდება და მედიაცია ეყრდნობა აღდგენითი მართლმსაჯულების კონცეფციას, რომელიც მაქსიმალურად ითვალისწინებს დამზარალებლისა და დაზარალებულის ინტერესებს, მიმართულია დანაშაულის პრევენციაზე და ზრუნავს საზოგადოების, როგორც მთლიანობის გაჯანსაღებაზე.

თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ 21 წლამდე ასაკის პირმა ჩაიდინა დანაშაული, პროკურორი უფლებამოსილია არ დაიწყოს/შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა და მის მიმართ გამოიყენოს განრიდების მექანიზმი. 21 წლამდე ასაკის პირის განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, პროკურორი მიმართავს სააგენტოს, რომელიც უზრუნველყოფს საქმის კონკრეტული სოციალური მუშაკისთვის გადაცემას. სოციალური მუშაკი შეიმუშავებს განსარიდებლის ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს, განრიდების სარეკომენდაციო ღონისძიებებს და ხელშეკრულების სარეკომენდაციო პირობებს. ანგარიშის საფუძველზე პროკურორი სოციალურ მუშაკთან, ხოლო მედიაციის შემთხვევაში - მედიატორთან ერთად განსაზღვრავს განრიდების ღონისძიებას და ხელშეკრულების პირობებს. გარდა ზემოაღნიშნულისა, მას შემდეგ, რაც პროკურორი მიიღებს განრიდების გადაწყვეტილებას და საქმეს ჰყავს დაზარალებული, საქმეში ერთვება მედიატორი, რომელიც არის ნეიტრალური პირი. მედიატორის მიზანია დაზარალებულსა და განსარიდებელს შორის მოლაპარაკების წარმოება, შერიგებაში დახმარება და ზიანის ანაზღაურების ფორმაზე შეთანხმება.

მედიატორი დაზარალებულსა და განსარიდებელს აწვდის დეტალურ ინფორმაციას მედიაციის არსის, პროცედურების შესახებ და უხსნის მათ მედიაციის მნიშვნელობას. დაზარალებულის თანხმობის შემთხვევაში, მოლაპარაკების პროცესის დასრულების შემდეგ მედიატორი მართავს შეხვედრას (მედიაციის კონფერენციას) რა დროსაც დაზარალებული და განსარიდებელი პირადად ხვდებიან ერთმანეთს. ყველა მხარესთან შეთანხმებით დგება სამოქალაქო ხელშეკრულება, რომელსაც ხელს აწერენ: განსარიდებელი, მისი კანონიერი წარმომადგენელი (18 წლის ასაკს მიუღწეველი პირის განრიდების შემთხვევაში), მედიატორი და დანაშაულის შედეგად დაზარალებული პირი. ხელშეკრულების შესაბამისად, განრიდების ღონისძიებასთან ერთად 21 წლამდე ასაკის პირს მიეწოდება მისთვის საჭირო სერვისები და

დაეკისრება დაზარალებულის ან/და საზოგადოების წინაშე მოვალეობები, რომელთა შემუშავებაში მედიატორიც იღებს მონაწილეობას. განრიდებულს სერვისები მიეწოდება სახელმწიფო და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ.

პირობების ჩამოყალიბებისას პროკურორი, სოციალური მუშაკი და მედიატორი ითვალისწინებენ დაზარალებულის ინტერესს და მოქმედებენ განსარიდებლის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. ამიტომ, ხელშეკრულების პირობად აგრეთვე შეიძლება განისაზღვროს, ზიანის ანაზღაურება ან/და დაზარალებულისთვის ბოდიშის მოხდა საქმის ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინებით.

იმ შემთხვევაში, თუ საქმეს არ ჰყავს დაზარალებული, ან დაზარალებული წინააღმდეგია მედიაციის პროცესში მონაწილეობაზე, აღნიშნული არ აბრკოლებს განრიდების პროცესს და პროკურორი უფლებამოსილია გააფორმოს კანონთან კონფლიქტში მყოფ პირთან ხელშეკრულება განრიდების შესახებ. ამასთან, დაზარალებულს უფლება აქვს ნებისმიერ დროს ჩაერთოს მედიაციის პროცესში. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, 21 წლამდე ასაკის პირის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებას მეთვალყურეობას უწევს სოციალური მუშაკი. შესაძლებელია, რომ განრიდებულმა არ გამოიყენოს მისთვის მიცემული შანსი და დაარღვიოს ხელშეკრულების პირობები. ასეთ შემთხვევაში, სოციალური მუშაკი დაუყოვნებლივ აწვდის ინფორმაციას პროკურორს, პროკურორი კი უფლებამოსილია ხელახლა დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა მის მიმართ.

2014 წლის ნოემბრამდე არასრულწლოვნის განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართვა შესაძლებელი იყო იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ ჩადენილი დანაშაული წარმოადგენდა ნაკლებად მძიმე დანაშაულს. 2014 წლის 11 ნოემბრიდან პროგრამა გავრცელდა მძიმე კატეგორიის დანაშაულებზეც. აღნიშნული ცვლილებებით შეიცვალა და დაიხვეწა 2010 წლიდან პროგრამის პრაქტიკაში გამოყენებისას გამოვლენილი ხარვეზები და სხვადასხვა პროცედურული საკითხებიც. მათ შორის, დაწესდა პროგრამაში მომუშავე პროფესიონალთათვის სამუშაო ვადები. ასევე, თუ წინათ მედიაციის შესახებ დაზარალებულს ინფორმაციას პროკურორი აწვდიდა და მხოლოდ დაზარალებულის მედიაციის პროცესში მონაწილეობაზე თანხმობის შემთხვევაში ერთვებოდა მედიატორი, დღეისათვის იგი პროცესში პროკურორის მიერ განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისთანავე ერთვება, რაც ზრდის მედიაციით დასრულებული საქმეების რაოდენობას. შესაბამისად, ამცირებს დანაშაულებრივი ქმედების შედეგად დაზარალებულსა და განრიდებულს შორის წარმოშობილი კონფლიქტების რაოდენობას და ზრდის კმაყოფილ დაზარალებულთა რიცხვს.

2016 წლის პირველ იანვარს ამოქმედდა საქართველოს კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“, რომელის მიხედვითაც ბევრ სხვა ნოვაციასთან ერთად, კიდევ უფრო დაიხვეწა და გაუმჯობესდა განრიდების მექანიზმი. კოდექსის მიხედვით, განრიდება გახდა პრიორიტეტული და კრიტერიუმების არსებობის შემთხვევაში, პროკურორი ვალდებულია პირველ რიგში, განიხილოს განრიდების შესაძლებლობა და მხოლოდ შემდეგ დაიწყოს ფიქრი სისხლისსამართლებრივ დევნაზე. განრიდება გავრცელდა 14-18 წლის არასრულწლოვნების გარდა, 18-დან 21 წლამდე ასაკის პირებზეც. განრიდების უფლებამოსილება აგრეთვე მიენიჭა მოსამართლესაც. კერძოდ, 2016 წლის 1-ლი იანვრიდან მოსამართლე უფლებამოსილია მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, ან/და საკუთარი ინიციატივით საქმე

დაუბრუნოს პროკურორს განრიდების მიზნით. მნიშვნელოვანი ცვლილებაა აგრეთვე ის, რომ მედიატორის როლი კიდევ უფრო გაიზარდა. კოდექსის მიხედვით, პროკურორისა და სოციალური მუშაკის დასწრება მედიაციის კონფერენციაზე სავალდებულო აღარ არის.
2020 წელს განახლდა „განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართული მედიატორების საქმიანობის წესისა და სამუშაო დოკუმენტაციის დამტკიცების თაობაზე“, სააგენტოს უფროსის ბრძანება, რომლის საფუძველზეც განახლდა მედიატორთა საქმიანობის მარეგულირებელი წესები. ბრძანების შესაბამისად:

- ამოქმედდა დისტანციური მედიაციის მოდელი, რომელიც მაქსიმალურად არის მორგებული მედიაციის მხარეთა ჯანმრთელობის უსაფრთხოების დაცვაზე და მინიმუმამდეა დაყვანილი პირადი შეხვედრები მედიაციის მხარეებსა და სააგენტოს მედიატორებს შორის. აღნიშნული მექანიზმი გამოიყენება ახალი კორონავირუსის გავრცელების პირობებში აღდგენითი მართლმსაჯულების არსებული პრაქტიკის გაგრძელებისა და გაუმჯობესებისათვის და მისი გამოყენება გაგრძელდება ვირუსის გავრცელების რისკების არარსებობის პირობებშიც ისეთ მედიაციის საქმეებში, რომლებშიც მედიაციის მხარეები საზღვარგარეთ, ან ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში იმყოფებიან;
- დაიხვეწა პროცედურული საკითხები და განახლდა სამუშაო ფორმები. განახლებული ბრძანებით ყურადღება ეთმობა კვლევით კომპონენტს, რითაც განრიდებისა და მედიაციის პროგრამა კიდევ უფრო დაუახლოვდა აღდგენითი მართლმსაჯულების გამოყენებისა და პრაქტიკის შეფასების საერთაშორისოდ აღიარებულ პრინციპებს, ხედვებსა და ღირებულებებს.

2022 წელს განხორციელებული მნიშვნელოვანი აქტივობები

ივნისის თვეში, სააგენტოს წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო აღდგენითი მართლმსაჯულების ევროპული ფორუმის ორგანიზებით გამართულ მე-11 საერთაშორისო კონფერენციაში „მართლმსაჯულება საზღვრებს მიღმა: აღდგენითი კავშირები სივრცითა და კომუნიკაციით“, რომელიც აღდგენითი მართლმსაჯულების მიმართულებით აქტუალური საკითხების ირგვლივ საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებასა და განხილვას ისახავდა მიზნად.
საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 3 ინტერვიზიის სესია სააგენტოს მედიატორების მონაწილეობით.

გაეროს ბავშვთა ფონდისა და ევროკავშირის მხარდაჭერით განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში არსებული გამოწვევების იდენტიფიცირების, უწყებათაშორისი თანამშრომლობის მექანიზმის გაძლიერებისა და განრიდების პროგრამებში ჩართულ პროფესიონალთა შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით გაიმართა 8 სამუშაო შეხვედრა განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართული პროკურორების, მედიატორების და სოციალური მუშაკების მონაწილეობით.
ქალაქ ქუთაისში, ხაშურსა და ოზურგეთში გაიხსნა მედიაციის სივრცეები, რომლებიც მაქსიმალურად ითვალისწინებს მედიაციის პროცესის სპეციფიკასა და საჭიროებას.
აპრილის თვეში სააგენტოს, ევროკავშირის მხარდაჭერითა და გაეროს ბავშვთა ფონდთან თანამშრომლობით გაიმართა კონფერენცია, რომელზეც აღდგენითი მართლმსაჯულების, არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამის 11 წლის შედეგები შეჯამდა.

საანგარიშო პერიოდში, დაიწყო მედიაციის მხარეთა კმაყოფილების კვლევა საერთაშორისო ექსპერტთან თანამშრომლობით შემუშავებული კითხვარის გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად ითვალისწინებს ადგილობრივ კონტექსტს და მასში მონაწილეობის შესაძლებლობა აქვს თითოეულ მედიაციის პროცესის მონაწილე მხარეს.
ოქტომბრის თვეში სააგენტოს წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო ჩეხეთის რესპუბლიკის დედაქალაქ პრაღაში აღდგენითი მართლმსაჯულების ევროპული ფორუმის ორგანიზებით გამართულ ყოველწლიურ სამუშაო შეხვედრაში „the European Restorative Justice Policy Network (ERJPN)" და ჩეხეთის რესპუბლიკის პრობაციისა და მედიაციის სამსახურის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში „პრობაციის და მედიაციის სერვისი". აქტივობების ფარგლებში ევროპის მასშტაბით აღდგენითი მართლმსაჯულების განვითარების შესაძლებლობები განიხილებოდა.

დეკემბრის თვეში, გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით, აღდგენითი მართლმსაჯულების მექანიზმების გამოყენების გაფართოების, საერთაშორისო აქტივობების ფარგლებში მიღებული გამოცდილების მათთვის გაზიარებისა და მედიატორთა საქმიანობაში არსებული აქტუალური საკითხების/გამოწვევების იდენტიფიცირებისა და განხილვის მიზნით, სააგენტოს მედიატორებთან სამუშაო შეხვედრა გაიმართა.
2021 წლის 14 დეკემბრიდან ამოქმედებული სისხლის სამართლის მედიატორთა რეესტრის მექანიზმის საფუძველზე შერჩეული კადრებმა გაიარეს მედიატორების გადამზადების/სპეციალიზაციის სასერტიფიკატო კურსის პირველი და მეორე მოდული, რაც 2023 წლის პირველ ნახევარში დასრულდება, ევროკავშირისა და აშშ-ს ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის ბიუროს INL-ის მხარდაჭერით ხორციელდება. გადამზადების/სპეციალიზაციის სასერტიფიკატო კურსის წარმატებით გავლის შემდეგ შერჩეული კადრები სააგენტოს ბაზაზე გაივლიან პრაქტიკულ სწავლებას და ექნებათ შესაძლებლობა სააგენტოში დასაქმდნენ პრაქტიკოს მედიატორად.
დეკემბრის თვეში, დაიწყო ევროპის საბჭოს მიერ დაფინანსებული პროექტის „დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების ხელშეწყობა საქართველოში", რომლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს აღდგენითი მართლმსაჯულების განვითარების ხელშეწყობა წარმოადგენს სააგენტოს საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით.

პროგრამის შედეგები

2022 წლის განმავლობაში განრიდებულ იქნა 1175 პირი, აქედან 585 არასრულწლოვანი (14-დან 18 წლამდე) და 590 სრულწლოვანი (18-დან 21 წლამდე). აქედან 658 პირის მიმართ გამოყენებულ იქნა მედიაცია და შედგა 499 მედიაციის საერთო შეხვედრა, მათგან 86 პირისპირ შეხვედრის, ხოლო 413 დისტანციური მედიაციის საერთო შეხვედრის ფორმატით.

2010 წლიდან 2022 წლის ჩათვლით, საერთო ჯამში, განრიდებულ იქნა 6774 21 წლის ასაკამდე პირი.

2022 წელს განრიდების პროგრამებთან დაკავშირებული დეტალური სტატისტიკური მონაცემები:


წლებისა და ასაკობრივი კატეგორიის მიხედვით
14-დან 18 წლამდე
18-დან 21 წლამდე
2022
585
590
2021
363
270
2020
298
237
2019
437
361
2018
497
401
2017
476
436
2016
462
322
2015
297
2014
204
2013
332
2012
124


სტატისტიკური მონაცემები თვეების მიხედვით 2022 წელს
33
39
52
51
53
83
40
46
59
52
68
66
67
54
41
40
48
49
35
34
40
34
49
42
იანვარი
თებერვალი
მარტი
აპრილი
მაისი
ივნისი
ივლისი
აგვისტო
სექტემბერი
ოქტომბერი
ნოემბერი
დეკემბერი
14-დან 18 წლამდე
18-დან 21 წლამდე


სტატისტიკური მონაცემები სქესისა და ასაკობრივი კატეგორიის მიხედვით 2022 წელს
14-დან 18 წლამდე
18-დან 21 წლამდე
539
538
51
47
მამრობითი
მდედრობითი

სტატისტიკური მონაცემები დანაშაულთა და ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით




სტატისტიკური მონაცემები დანაშაულის კატეგორიისა
და დანაშაულის ჩადენის დროს ასაკის მიხედვით
მძიმე დანაშაული
ნაკლებად მძიმე დანაშაული
45
53
82
53
92
70
105
85
89
108
62
143
52
136
14 წლის
15 წლის
16 წლის
17 წლის
18 წლის
19 წლის
20 წლის

სტატისტიკური მონაცემები ხელშეკრულების ხანგრძლივობის მიხედვით




წარმატებით დასრულებული მედიაციის საქმეები
18%
51%
40%
39%
44%
55%
46%
65%
60%
2014 წელი
2015 წელი
2016 წელი
2017 წელი
2018 წელი
2019 წელი
2020 წელი
2021 წელი
2022 წელი


წარმატებით დასრულებული მედიაციის კონფერენციები
წლების მიხედვით 14 დან 21 წლის ასაკამდე პირებს
შორის
28
114
222
268
290
328
181
310
499
2014 წელი
2015 წელი
2016 წელი
2017 წელი
2018 წელი
2019 წელი
2020 წელი
2021 წელი
2022 წელი


სტატისტიკური მონაცემები, ასაკის მიხედვით,
დანაშაულის ჩადენის დროს
98
135
162
190
197
205
188
14 წლის
15 წლის
16 წლის
17 წლის
18 წლის
19 წლის
20 წლის

განრიდების ხელშეკრულებების გაფორმებით დასრულებულ საქმეებთან დაკავშირებული მონაცემები 2022 წელს




მედიაციის მაჩვენებელი არასრულწლოვნებს შორის იმ საქმეებში, სადაც დაზარალებული არსებობდა
მედიატორის უარი
2%
დაზარალებულის
უარი
38%
მედიაცია შედგა
60%


მედიაციის პროცენტული მაჩვენებელი 21 წლამდე ასაკის სრულწლოვნებს შორის იმ საქმეებში, სადაც არსებობდა მედიაციის წინაპირობა
მედიატორის უარი
3%
დაზარალებულის
უარი
36%
მედიაცია შედგა
61%


ფიზიკური პირების მედიაციის პროცესში მონაწილეობასთან დაკავშირებული მაჩვენებელი (2022)
მედიატორის უარი 4%
მედიაცია შედგა 54%
დაზარალებულის უარი 42%


იურიდიული პირების მედიაციის პროცესში მონაწილეობასთან დაკავშირებული მაჩვენებელი (2022)
მედიატორის უარი 1%
მედიაცია შედგა 68%
დაზარალებულის უარი 31%


განრიდებისა და მედიაციის კონფერენციაზე პროკურორების დასწრების მაჩვენებელი(2022)
ესწრებოდა 7%
არ ესწრებოდა 93%


განრიდებისა და მეიდაციის კონფერენციაზე სოციალური მუშაკების დასწრების მაჩვენებელი (2022)
ესწრებოდა 8%
არ ესწრებოდა 92%


დაზარალებულთა მონაცემები
14-დან 18 წლამდე განრიდებული
18-დან 21 წლამდე განრიდებული
271
250
303
276
11
64
იურიდიული პირი
ფიზიკური პირი
დაზარალებულის გარეშე

2022 წლის მონაცემები რაიონული და საოლქო პროკურატურების მიხედვით 14-დან 21 წლამდე პირებს შორის



სტატისტიკური მონაცემები თბილისის მასშტაბით რაიონული პროკურატურების მიხედვით **2022** წელს



მედიატორის უარის განმაპირობებელი გარემოებები



დაზარალებულის უარის განმაპირობებელი გარემოებები



16. განრიდებულ პირთა ხელშეკრულების ხშირად გამოყენებული პირობები

განათლება

- წაიკითხოს მოსწავლეებისათვის განკუთვნილი ლიტერატურა/სახელმძღვანელოს შესაბამისი თავები მათ შორის, დანაშაულის გაცნობიერების ხელშეწყობის მიზნით, წიგნიდან: „სამართლის ქალაქი", და სხვა მხატვრული ან სხვა ჟანრის ლიტერატურა;
- დაწეროს ესე სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით (მაგ.: „რა მასწავლა ამ შემთხვევამ და რას გავითვალისწინებ მომავალში", „ზიანი დაზარალებულის მიმართ", „რამდენად აისახება ჩემი ფასეულობა ჩემსავე ქცევაში", „რა შეიცვალა ჩემს ცხოვრებაში მომხდარი დანაშაულის შემდეგ", „დანაშაულის ხელშემწყობი ფაქტორები და შედეგები", „განრიდების პროგრამის შედეგად მიღებული გამოცდილება", „საკუთარი ინტერესები და სამომავლო გეგმები", „ მე - დაზარალებული ", „საკუთრების წინააღმდეგ განხორციელებული დანაშაულები და შესაძლო სასჯელები", „რომ არა განრიდების პროგრამა", „მოხალისეობრივი საქმიანობის მნიშვნელობა", „ალკოჰოლის ჭარბი რაოდენობის მოხმარების შედეგად გამოწვეული საფრთხეები და რისკები", „ჩემი ემოციური მდგომარეობა დანაშაულის ჩადენამდე და დანაშაულის შემდეგ", „კომპიუტერული თამაშების გავლენა ადამიანის ცხოვრებაზე", „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა", „დანაშაულის მაპროვოცირებელი გარემოებები და შედეგები", „თუ ჩემთვის მნიშვნელოვანს სხვა მომპარავს", „ავტოსაგზაო შემთხვევის გამომწვევი მიზეზები და შედეგები", „ლეგალური ფსიქოაქტიური ნივთიერების - თამბაქოს საზიანო შედეგები და გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე", „ყველაზე მნიშვნელოვანი ღირებულება ცხოვრებაში", „რა ნიშნავს იყო კარგი მოქალაქე", „არსებობს მოსაზრება, რომ ახალგაზრდებში დანაშაულის ჩადენის მიზეზი უმეტესად ბევრი თავისუფალი დროა", „მე ხუთი წლის შემდეგ", „როგორ მოვიქცეთ კონფლიქტური ურთიერთობის დროს", „მუქარის,როგორც დანააშაულის ზეგავლენა დაზარალებულზე", „რა შეიძლება გამოიწვიოს სიჩქარის გადაჭარბებამ", „სწორი კომუნიკაციის აუცილებლობა კონფლიქტის მართვის პროცესში".
- მოიძიოს ინფორმაცია თამბაქოს მოხმარების რისკებისა და საფრთხეების შესახებ და მოამზადოს პრეზენტაცია ამ თემაზე;
- მოამზადოს პრეზენტაცია საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებსისა და შესაძლო სასჯელების შესახებ;
- მოიძიოს ინფორმაცია ძალადობრივი ქცევის, მისი სახეებისა და უარყოფითი შედეგების შესახებ;
- მოამზადოს პრეზენტაცია თემაზე: ალკოჰოლის მოხმარების ნეგატიური გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე;
- მოამზადოს პრეზენტაცია თემაზე: საგზაო მოძრაობის წესების დაცვა;
- დაესწროს ონლაინ სემინარებსა და ლექციებს;
- გაეცნოს ინფორმაციას თევზჭერის წესებისა დაწესებული შეზღუდვების თაობაზე და მოამზადოს ესე ამ თემაზე;
- გააუმჯობესოს აკადემიური მოსწრება და დაესწროს საგაკვეთილო პროცესს;
- წაიკითხოს „საგზაო მოძრაობის შესახებ" საქართველოს კანონი;

- მოიძიოს ინფორმაცია ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების რისკებისა და საფრთხეების შესახებ;
- მოამზადოს პრეზენტაცია თემაზე „რა არის ზიანი და როგორი შეიძლება იყოს მისი ფორმები“;
- მოიძიოს ინფორმაცია დანაშაულებრივი ქმედების ხელშემწყობი და ხელისშემშლელი ფაქტორების შესახებ;
- მოიძიოს ინფორმაცია ხშირად განხორციელებული დანაშაულებრივი ქმედებების შესახებ;
- სოციალური მუშაკის დახმარებით, მოიძიოს ინფორმაცია არასრულწლოვანთა მიერ განხორციელებული ავტოსაგზაო შემთხვევების სტატისტიკის შესახებ;
- ჩაერთოს კულტურულ-საგანმანათლებლო აქტივობებში;
- სოციალური მუშაკის დახმარებით, გაეცნოს ეკონომიკური დანაშაულების შესახებ საქართველოს კანონმდებლობას;
- გაეცნოს კანონს „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ და განიხილოს სოციალურ მუშაკთან ერთად;
- სოციალური მუშაკის დახმარებით შეისწავლოს ქართული ანბანი.

ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია

- ჩაერთოს სარეაბილიტაციო პროგრამაში „დანაშაულის გააზრება“;
- ჩაერთოს სარეაბილიტაციო პროგრამაში „კონფლიქტების მართვა და ასერტული ქცევა“;
- ჩაერთოს სარეაბილიტაციო პროგრამაში „ცხოვრებისეული ფასეულობები“;
- ჩაერთოს სარეაბილიტაციო პროგრამაში „მომავლის დაგეგმვა“;
- ჩაერთოს სარეაბილიტაციო პროგრამაში „ბრაზის მართვა“;
-
- ჩაერთოს სარეაბილიტაციო პროგრამაში „ეფექტური კომუნიკაცია“;
- ჩაერთოს სარეაბილიტაციო პროგრამაში „ცხოვრების ჯანსაღი წესი“
- ჩაერთოს სარეაბილიტაციო პროგრამაში „თვითშეფასების, ახალი შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა“;
- ინდივიდუალური კონსულტაციები თემაზე: დამოკიდებული ქცევა და მისი ნეგატიური შედეგები;
- ინდივიდუალური კონსულტაციები ძალადობის სახეების, შედეგებისა და სამართლებრივი მექანიზმების შესახებ;
- ინდივიდუალური კონსულტაციები ალკოჰოლის მოხმარების უარყოფით შედეგებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღების მიზნით;
- ინდივიდუალური კონსულტაციები ფსიქოლოგთან;
- ოჯახთან ერთად გაეწიოს კონსულტაცია დელიქვენტური ქცევის მქონე პირებთან ურთიერთობის თანხმლები რისკების შესახებ;
- არასრულწლოვანსა და თავის კანონიერ წარმომადგენელს გაეწიოს კონსულტაცია პროფესიული ორინეტაციისა და ხელობის შემსწავლელი კოლეჯების შესახებ;
- დღის ცენტრის ბენეფიციარებისათვის ჩაატაროს პერეზენტაცია თემაზე საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესების დაცვის აუცილებლობა;

- მშობელი ჩაერთოს ტრენინგ-პროგრამაში „პოზიტიური მშობლობა“;
- ინდივიდუალური კონსულტაციები თემაზე: ემპათიური დამოკიდებულების ჩამოყალიბება დაზარალებულის მიმართ;
- ინდივიდუალური კონსულტაციები თემაზე: დანაშაულის რაობა, ხელშემწყობი ფაქტორები, სასჯელის მიზანი;
- ჩაერთოს ტრენინგ-პროგრამაში „ადამიანის უფლებები, მოწყვლადი ჯგუფებისადმი ტოლერანტობის განვითარება“;
- ინდივიდუალური კონსულტაციები თემაზე: „რეპროდუქციული ჯანმრთელობა“
- ანტისოციალური ქცევის პრევენციის მიზნით, ჩაერთოს არასამთავრობო ორგანიზაცი(ებ)ის მიერ შემოთავაზებულ სარეაბილიტაციო პროგრამებში;
- სოც.მუშკის მიერ გაეწიოს კონსულტირება მორალური განვითარების და ემპათიის საკითხებზე აქცენტირებით;
- გაეწიოს ფსიქოლოგის მომსახურება მარიხუანას მოხმარების გამოცდილების და ამასთან დაკავშირებული საფრთხეების გასააზრებლად;
- გაიაროს სარეაბილიტაციო პროგრამა „სოციალური და კოგნიტური უნარების სასწავლო პროგრამა“;
- სოც.მუშაკთან კონსულტაცია სამომავლო კონკრეტული მიზნების დასახვის სტრატეგიების თაობაზე;
- ჩაერთოს კლუბ „სინერგიის“ სარეაბილიტაციო პროგრამაში;
- ჩაერთოს არასამთავრობო ორგანიზაცია „სოციალური პედაგოგიური ცენტრი კომპასის“ აქტივობებში;
- გაიაროს კონსულტაცია სოციალურ მუშაკთან, რათა შეძლოს მიმღებლობის გაზრდა განსხვავებული შეხედულებების, ეთნოსის, კანის ფერის, რელიგიის მქონე ადამიანების მიმართ.

შეზღუდვები და სხვა ვალდებულებები

- არ ჩაიდინოს ახალი დანაშაული;
- შინიდან გასვლის შეზღუდვა დღის განსაზღვრულ მონაკვეთში (ძირითადად, ღამის საათებში) და შესაბამისი გამონაკლისით;
- მოიძიოს ინფორმაცია დაზარალებული იურიდიული პირის საქმიანობის სპეციფიკის, მისი დაარსებისა და საქმიანობის სფეროს შესახებ;
- საცხოვრებელი ადგილის შეცვლის შეზღუდვა მასთან მომუშავე პროფესიონალების ინფორმირების გარეშე;

- თავი აარიდოს აზარტულ სათამაშო კლუბებში შესვლას, ასევე არ დაამყაროს ურთიერთობა იმ პირებთან, რომლებმაც შეიძლება შეუწყონ ხელი მის ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვას;
- არ დატოვოს საქართველოს სახელმწიფო საზღვარი.

დაზარალებულის წინაშე ვალდებულებები

- დაზარალებულს აუნაზღაუროს მიყენებული მატერიალური ზიანი;
- მისწეროს წერილი დაზარალებულს, სადაც უამბობს საკუთარი თავის, თავისი ქმედების და მისდამი დამოკიდებულების შესახებ;
- დაზარალებული მაღაზიის თანამშრომლებს დაეხმაროს ინვენტარის მოწესრიგებაში;
- დაეხმაროს დაზარალებულს ეკლესიის მშენებლობაში.

სპორტი და ხელოვნება

- გაეწიოს კონსულტაცია სახელობო სწავლებასთან დაკავშირებით;
- ჩაერთოს სპორტული ცენტრის ფუტსალის ფეხბურთის წრეზე;
- ჩაერთოს დემოკრატიული ჩართულობის ცენტრის კინო კლუბის აქტივობებში.

საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი აქტივობები

- მიიღოს მონაწილეობა ეკლესიის დასუფთავებაში;
- დაეხმაროს საქველმოქმედო ორგანიზაციას სოციალურად დაუცველი მოხუცების კვებით უზრუნველყოფის პროცესში;
- მიიღოს მონაწილეობა სახლმუზეუმის დასუფთავების აქტივობაში;
- დაეხმაროს სოციალურ დაუცველთა სასადილოს ბენეფიციარებს;
- მიიღოს მონაწილეობა ქალაქის კულტურის ცენტრის და სკვერის დასუფთავებაში;
- იაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში და დაეხმაროს მუზეუმის თანამშრომლებს;
- მოხალისეობრივი საქმიანობა „საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება“ - ში;
- მონაწილეობა მიიღოს სოფლის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე ტბის მოვლა-დასუფთავების საქმიანობაში;
- დღის ცენტრ იალქანში ბენეფიციარებს ასწავლოს ჭადრაკის თამაში;
- მოხალისეობრივად დაეხმაროს შშმ ბავშვთა დღის ცენტრის თანამშრომლებს;

- იაროს სოფლის საჯარო სკოლის ბიბლიოთეკაში და ბიბლიოთეკის მომსახურე პერსონალს დაეხმაროს სხვადასხვა საქმიანობაში.

განრიდება

საქართველოს
იუსტიციის
სამინისტრო

THE PROSECUTION SERVICE OF GEORGIA

დანაშაულის პრევენციის არასაპატიმრო
სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის
ეროვნული სააგენტო